ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №02-15

CPV 72300000 **-** მონაცემთა მომსახურება

CPV 72321000 - მონაცემთა ბაზების დამატებითი მომსახურებები

ქ. თბილისი **15 მარტი 2022 წელი**

ერთი მხრივ, **სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა**, (შემდგომში „შემსყიდველი"), უფროსის – დიმიტრი ბერიძის სახით და მეორე მხრივ, **სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"** წარმოდგენილი მისი ფინანსისტის **ანა თოლორაიას** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის „ზ" პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულება (შემდგომში – „ხელშეკრულება") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე, მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ – „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებუ-ლებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;

1.6 „ვებ გვერდი" ნიშნავს – შემდგომში ვებგვერდს (www.matsne.gov.ge), რომლის მეშვეობითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ღებულობს ელექტრონული სისტემით სარგებლობის მომსახურეობას.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „მაცნეს" ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული (კოდიფიცირებული) ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურეობის, საინფორმაციო სისტემით სარგებლობის უფლების შესყიდვაზე

მუხლი 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **3 250.00** (სამი ათას ორასორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება 8.2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

3.3. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებით სარგებლობის პირობები და საფასური განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 6 იანვრის N802 ბრძანების საფუძველზე;

4.2. მაცნეს ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge), განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებით ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობის უფლება განკუთვნილია **ცამეტ მომხმარებელზე**.

მუხლი 5. მომსახურების შესაბამისობა

5.1. ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა იყოს ინტენსიური, რეგულარული ხასიათის და პასუხობდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუხლი 6. ვებ გვერდით სარგებლობის პირობები და ვადები

6.1. სისტემატიზებული აქტებით სარგებლობა განხორციელდება მაცნეს ვებგვერდის საშუალებით 2022 წლის 15 მარტიდან 2023 წლის 14 მარტის ჩათვლით.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება დასტურდება მომხმარებლის სახელისა (user name) და პაროლის გადაცემით და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელზეც ხელმომწერ უფლებამოსილ პირს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **ნატალი ქორიძე** ან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ბრძანებით (სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის თანამშრომლებისათვის, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სახელით, მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ) განსაზღვრული ერთ-ერთი პირი. მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს საფინანსო სამსახურის ბუღალტერი **ია ნანეიშვილი**.

მუხლი 8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად, **2022 წლის საკუთარი ფინანსური სახსრებით**, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის სახაზინო რეკვიზიტების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან (ჩაბარებიდან) 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 9. მხარეთა ვალდებულებები

9.1 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

9.1.1. განახორციელოს მაცნეს ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge), ელექტრონული მომსახურეობის სისტემაში ჩართვა და მომხმარებლის თანამშრომელთა ელექტრონული მომსახურეობის სისტემაში დაშვება.

9.1.2 უზრუნველყოს მაცნეს ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge), განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებისა და სხვა საინფორმაციო დოკუმენტების გამართული მიწოდება;

9.1.3. უზრუნველყოს მიწოდებულ მომსახურებაზე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

9.1.4. ხელშეკრულების გაფორმებისთანავე უზრუნველყოს სისტემაში ჩართვა დანართი №1-ით გათვალიწინებულ მომხმარებლებზე სისტემატიზებული სახით აქტების გაცნობის უფლებით.

9.1.5. აღკვეთოს მომხმარებლის ელექტრონული მომსახურეობის სისტემაში ნებისმიერი არასანქცირებული შეღწევა.

9.2 **შემსყიდველი ვალდებულია:**

9.2.1. კონფიდენციალურად შეინახოს ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობისათვის მომხმარებლის სახელი (უსერ ნამე) – პაროლი, უზრუნველყოს მისი დაცვა და არ დაუშვას მესამე პირთათვის მისი გადაცემა; შენიშვნა: (იმ შემთხვევაში, თუ კალენდარული დღის განმავლობაში სისტემიდან გამოსვლის გარეშე პარალელურ რეჟიმში მომხმარებლის სახელით განხორციელდება სხვა კომპიუტერული მოწყობილობიდან სისტემაში შესვლა, (გარდა მობილური აპლიკაციისა) მომხმარებელი მიიღებს გაფრთხილებას და მესამე ასეთი ქმედებისთავე ამოქმედდება ვებგვერდზე მომხმარებლის სახელის საათობრივი შეზღუდვა თითოეულ ჯერზე არაუმერტეს 24 საათისა).

9.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყოს „მიმწოდებლთან" ანგარიშწორება ხელშეკრულების 8.2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად;
9.2.3. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
9.2.4. თავისი შეხედულებისმებრ შეცვალოს მისთვის გადაცემული პაროლ(ებ)ი, და უზრუნველყოს მისი დაცვა;
9.2.5 იმ შემთხვევაში, თუ სისტემიდან გამოსვლის გარეშე პარალელურ რეჟიმში კონკრეტული მომხმარებლის სახელით განხორციელდება სხვა კომპიუტერული მოწყობილობიდან სისტემაში შესვლა, მომხმარებელი სისტემის მეშვეობით მიიღებს გაფრთხილებას და მესამე ასეთი ქმედების შემდეგ ამოქმედდება მომხმარებლის სახელის საათობრივი შეზღუდვა.
9.2.6. წარუდგინოს მიმწოდებელს დაზუსტებული და სრული ინფორმაცია დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 10. მხარეთა უფლებები

10.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

10.1.1. შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;
10.1.2. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

10.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

10.2.1. აწარმოოს მოწოდებული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია მიმწოდებელს, მისი აღმოფხვრის მიზნით;
10.2.2. მოითხოვოს მაცნეს ვებგვერდზე განთავსებული ნორმატიული აქტების გამოყენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანის გამოწვევა განპირობებულია უშუალოდ მიმწოდებლის ბრალეულობით.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;
11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და ასევე ნებისმიერი ხელისშემშლელი ფაქტორით რაც უშუალოდ არ მომდინარეობს მიმწოდებლისგან;
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ

მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

12.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

12.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით;

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით;

14.2 იმ შემთხვევაში თუ გაიზრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომხმარებელთა რაოდენობა, ხოლო გაზრდის შედეგად საერთო მომხმარებლების რაოდენობა დაექვემდებარება სხვა საფასურის განაკვეთს, ყოველი ახალი მომხმარებლისათვის საფასური განისაზღვრება ახალი განაკვეთის მიხედვით, ხოლო უკვე რეგისტრირებული მომხმარებლების საფასურის განაკვეთი არ შეიცვლება და გადახდილი თანხა უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება;

14.3 მომხმარებელთა რაოდენობის შემცირების შემთხვევაში არსებული საფასურით დადგენილი საერთო ღირებულების სხვაობა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

მუხლი 15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს მოთხოვნის შემთხვევაში ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

15.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.
15.4. ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

მუხლი 16. ინსპექტირების პირობები

16.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ამ ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1. პუნქტში განსაზღვრული პირი, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.
16.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესყიდული მომსახურეობის ინსპექტირება.

მუხლი 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. ხელშეკრულება მოქმედებს გაფორმებიდან 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

მუხლი 18. სხვა პირობები

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.
18.2. ნებისმიერი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა მიერ შედგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული შეთანხმების ფორმით.
18.3. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
18.4. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

„შემსყიდველი“

ს.ს.ი.პ. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
თბილისი, ფანჯიკიძის №1ა
ს. კოდი 205300048
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის BIC კოდი TRESGE22
ა/ა 707 677 117

„მიმწოდებელი“

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
მისამართი: ქ. თბილისი,
გ. ფანჯიკიძის N2
ტელეფონი: 2 40 50 50,
საიდენტიფიკაციო კოდი: 203862622
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა 707 407 076

დიმიტრი ბერიძე
უფროსი

Ana Toloraia
Digitally signed by Ana Toloraia
Date: 2022.03.15 16:31:51 +04'00'

ანა თოლორაია
ფინანსისტი

დანართი №1

შენიშვნა:

სტანდარტული პაროლი ექვემდებარება

სავალდებულო შეცვლას მომხმარებლის მიერ:

შემსყიდველის მიერ წარმოდგენილ უზუსტობაზე დანართში ასახულ ინფორმაციაზე და მათ საფუძველზე გამოწვეულ შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

დანართი ივსება ლათინური ასოებით.

№	სახელი, გვარი	მომსახურების სახელი (user name)	e-mail	სტანდარტული პაროლი
1	Platon peikrishvili	ppeikrishvili	ppeikrishvili@emis.ge	
2	Nino todua	ntodua	ntodua@emis.ge	
3	Tamar Gabashvili	taamuunaa	tgabashvili@emis.ge	
4	Lia duchidze	lduchidze	lduchidze@emis.ge	
5	Tamar kubiashvili	tkubiashvili	tkubiashvili@emis.ge	
6	Salome japaridze	salomejaparidze	salomejaparidze@emis.ge	
7	Nana odikadze	emis	n.odikadze@emis.ge	
8	Natali Koridze	nkoridze	nkoridze@emis.ge	
9	Mariam Imedadze	mimedadze	mimedadze@emis.ge	
10	Giorgi Metreveli	gmetreveli	gmetreveli@emis.ge	
11	Davit Saghinadze	dsaghinadze	dsaghinadze@emis.ge	
12	Sopo Ugrekhelidze	Sugrekhelidzee	sugrekhelidze@emis.ge	
13	Eka Chinchaladze	echinchaladze	e.chinchaladze@emis.ge	

ქ. თბილისი

შეთანხმებულია და ვადასტურებთ ხელის მოწერით, რომ **სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე-ს** (ს/კ 203862622) მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი _____/**დიმიტრი ბერიძე**/

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი _____/**ნატალი ქორიძე**/